კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები

PROCEEDINGS OF III INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIOLOGISTS

материалы III международного конгресса кавказоведов

2013

სარედაქციო კოლეგია: რ. აბაშია, ნ. აბესაძე, ლ. აზმაიფარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ც. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), მ. თეთრაძე, რ. ფარეულიძე (რედაქტორი), რ. ჯანაშია

Editorial Board: R. Abashia, N. Abesadze, L. Azmaiparashvili (Associated editor), Ts. Baramidze (Editor-in-chief), M. Tetradze, R. Janashia, R. Pareulidze (Editor)

Редакционная коллегия: Р. Абашиа, Н. Абесадзе, Л. Азмайпарашвили (ответственный секретарь), Ц. Барамидзе (главный редактор), Р. Джанашиа, М. Тетрадзе, Р. Пареулидзе (редактор)

ავტორთა სტილი დაცულია
The authors' style is retained
Стиль авторов соблюдён

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

პროექტი (№25/22) განხორციელდა
შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013

ISBN 978-9941-13-309-1

ს. ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ე (თბილისი)

ტრადიციული ტოლერანტობა და მისი აღდგენის მცდელობა და რესურსები

ტოლერანტობა სამოქალაქო ღირებულებათა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი ყალიბდება საზოგადოებაში თანაარსებობის წესებისა და რეგლამენტების სახით და ვრცელდება კონკრეტული ეთნიკური, რელიგიური ან ეთნო-რელიგიური ჯგუფების წევრებზე. სათანადო ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია მისი, როგორც შეძენილი ღირებულების, ხარისხის გაზრდაც და დეფიციტის გამოწვევაც.

კავკასიის რეგიონი, მათ შორის საქართველო, ისტორიულად წარმოადგენს მულტიკულტურულ (მულტილინგვურ, პოლიეთნიკურ, მულტირელიგიურ) გარემოს, სადაც ტოლერანტობა იმთავითვე ჩამოყალიბდა როგორც თანაარსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობა. საგანგებო ხაზგასმას იმსახურებს ქართული სახელმწიფოს უცვლელად აქტიური და კეთილისმყოფელი როლი კავკასიაში ტოლერანტობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

სიტუაცია მკვეთრად იცვლება XIX საუკუნიდან, როდესაც კავკასიას ჩრდილოეთიდან უმეზობლდება დიდი იმპერია, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად ხელოვნურად იწვევს ტოლერანტობის დეფიციტს რეგიონში და ქმნის კრიზისულ სიტუაციებს.

კავკასიის რეგიონში და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში არის სურვილი, მცდელობა და რესურსები ტრადიციული ტოლერანტობის აღდგენისა, რისთვისაც მიზანმიმართულად და მეტ-ნაკლები წარმატებით ხდება ისტორიული, პოლიტიკური, კულტუროლოგიური, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ასპექტების გამოყენება.

ტოლერანტობის დანერგვას საზოგადოებისა და თითოეული ინდივიდის ცნობიერებაში და მათი ინტერკულტურულ დიალოგში ჩართვის მოთხოვნილების გამომუშავებას განსაკუთრებული ძალისხმევა და მეთოდები სჭირდება, რადგან ტოლერანტობის დანერგვის სინქრონიულად თვით ტოლერანტობის, როგორც სამოქალაქო ღირებულების მიმართ, კეთილგანწყობაც უნდა ინერგებოდეს.

ქართული საზოგადოების განვითარების სპეციფიკამ განაპირობა, ერთი მხრივ, საკუთარი რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის დეკლარირება, გამყარებული ისტორიული არგუმენტებითა და მაგალითებით და ასევე რწმენა საკუთარ პატრიოტიზმსა და ეროვნული სახელმწიფოსადმი ლოიალობაში; მეორე მხრივ კი – გაუცნობიერებელი და ლატენტური ქსენოფობია და პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობის დეფიციტი სახელმწიფოს მიმართ -

სრული ოპოზიცია საკუთარ თავზე წარმოდგენასა და ქცევით მოდელებს შორის. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა (თბილისში, რუსთავში, მცხეთაში, აჭარაში) ცხადყო, რომ ამ კუთხით არსებული პრობლემების სირთულის ხარისხი რეგიონის სპეციფიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

ზოგიერთ რეგიონში ტოლერანტობის დაბალი ხარისხი იმ სამიზნე ჯგუფშიც (resp. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებში) კი გამოვლინდა, რომელიც თავად მოიაზრება სამოქალაქო ღირებულებათა მულტიპლიკატორად.

საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის თვალსაზრისით, მასში ტოლერანტული და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლას, როგორც ინტერკულტურულ დიალოგში საზოგადოების ჩართვის ინსპირატორს, მასწავლებელს, როგორც ამ ღირებულებების მქონესა და მათ გადამცემს; მოსწავლეს, როგორც ამ ღირებულებების მიმღებსა და გამავრცელებელს ოჯახურ გარემოში, სამეგობრო წრეში და ა.შ.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიდგომით, სწავლების როგორც არაფორმალური, ასევე ფორმალური კომპონენტის ფარგლებში, შესაძლებელია სკოლის (resp. მასწავლებლის) მშობელზე ზეგავლენა ბავშვის გავლით და მისი ჩართვა სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების პროცესში. რაც: ა) შეამცირებს სამოქალაქო ღირებულებებისადმი სკოლასა და ოჯახში არსებულ განსხვავებებს, რომელიც ბავშვში, ხშირ შემთხვევაში, გადაულახავ წინააღმდეგობებს ქმნის; ბ) ხელს შეუწყობს მშობლების, როგორც არასტრუქტურირებული თემის წევრების, კონსოლიდაციას სკოლის ირგვლივ, რაც, თავის მხრივ, საქართველოში თემის, როგორც ინსტიტუციის, ჩამოყალიბებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, და როგორც შედეგი; გ) საგრძნობლად შეამცირებს ტოლერანტობის და, ზოგადად, სამოქალაქო ცნობიერების დეფიციტს საზოგადოებაში.

[illegible] ages. To reach this target I will apply a combined analy[illegible] of the available archaeological, iconographic, textual and faunal data.

S. L o b z h a n i d z e (Tbilisi)

The traditional tolerance, its recovery efforts and resources

Tolerance is an important part of civic values. It is formed in a society as the form[illegible] co-existence and applies on the rules and regulations of a particular ethnic, religious [illegible] ethnic - religious group members. Appropriate efforts can be both purchased for [illegible] quality, and increase the deficit challenge as well.

The Caucasian region including Georgia historically is a multicultural (multilingu[illegible] multiethnic, multi-religious) environment, where tolerance was immediately establishe[illegible] a vital condition for coexistence. Georgian State deserves to accentuate the favorable [illegible] invariably active role in the preservation and strengthening of tolerance.

The situation has been changing from XIX century, when from the North Cau[illegible] bordered a great empire, which aims to artificially create a crisis situation in the region [illegible] causes the lack of tolerance.

Caucasus region and, above all, Georgia is the desire and resources to attem[illegible] restore the tradition of tolerance, which targeted more or less successfully and carri[illegible] the historical, political, cultural, scientific and educational aspects of the application.

Establishment of tolerance and intercultural dialogue in society and each individ[illegible] consciousness needs to involve the generation of a special effort methods, so that [illegible] establishing of tolerance alongside of self-tolerance, has to be implemented.

Georgian society specification conditioned their religious and ethnic tole[illegible] declaration, backed up by historical argumentations and examples, on the one hand, [illegible] as a belief in their own patriotism of national and state loyalty and, on the other [illegible] unconscious and latent xenophobia and personal responsibility, a sense of [illegible] respect of complete opposition to their Back to the presentation and behavior pa[illegible] among. Our investigations (Tbilisi, Rustavi, Mtskheta, Adjara) showed that the [illegible] of difficulty of the problems in the region is heavily dependent on its specifics.

ntral to expressions of human
anthropological approaches to

nce I would like to give the
nimals have in shaping human
stigate and interpret the role of
s well as in the construction of
Anatolia, Iran an the Caucasus
will apply a combined analysis
d faunal data.

resources

formed in a society as the formal
f a particular ethnic, religious or
can be both purchased for value

lly is a multicultural (multilingual

In some regions one can detected the low level of tolerance for the target group (resp. secondary school teachers), which is considered as the civil values multiplier.

The positive influence in terms of tolerance and civic values is very special for the school, as intercultural dialogue with community involvement instigated, teacher for both of these values bearer and their transmitters; pupils as these values recipient and distributors in family environment, friends circle, and so on.

Our approach to teaching both informal and formal components, it is possible in school (resp. teacher), parent involvement and its impact on the child through the process of formation of civic consciousness; which:

A) reduces the values of the school and the family of the differences in the child, in most cases, creates insurmountable obstacles, b) it promote parents as non-structured community members, consolidation around the school, which from its side in the Georgian community, as the step made for institutionalization establishing and as a result of it; c) it significantly reduces tolerance deficit and general lack of awareness in society.

Ol L o m i a (Tbilisi)

Characterizing the Deverbal Modal *ok'o* 'must' in Medgrelian